



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 59

23 ოქტომბერი 2018 წ.

ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული
წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მისაღებად.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2018 წლის 21 ნოემბრამდე.
3. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღება საკრებულომ უზრუნველყოს 2019 წლის 01 იანვრამდე.
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე